

ქალთა მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში: კვლევები და დასკვნები

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის 2008 წლის საპრეზიდენტო, 2008 წლის საპარლამენტო და 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დასკვნითი ანგარიშები: ამონარიდები

საპრეზიდენტო არჩევნები, 2008 წლის 5 იანვარი

”არ არსებობს არც სამართლებრივი ბარიერები, რაც ხელს შეუშლიდა ქალების საარჩევნო პროცესებში მონაწილეობას, და არც რაიმე სამართლებრივი დებულება, რაც ხელს შეუწყობდა მათ მონაწილეობას. საქართველო შეუერთდა გაერო-ს კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში გამოჩენილი ქალი ცოტაა, უმცირესობაში მყოფი სქესი მაინც ნაკლებად არის წარმოდგენილი პოლიტიკურ ცხოვრებაში და საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლეს თანამდებობებზე.

ირინა სარიშვილი იყო უმცირესობაში მყოფი სქესის ერთადერთი წარმომადგენელი საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის. ცესკოს 13 წევრს შორისაც მხოლოდ ერთი ქალბატონია. ცესკოს მონაცემთა თანახმად გენდერული ბალანსი შედარებით თანაბარი იყო საოლქო საარჩევნო კომისიებში (42 პროცენტი იყო ქალი), საუბნო საარჩევნო კომისიებიც მეტწილად ქალებით იყო დაკომპლექტებული (50 პროცენტი). არჩევნების დღეს არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მიერ მონახულებულ საარჩევნო უბნებზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთა 55 პროცენტს ქალები შეადგენდნენ, ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ორიმესამედი ქალები იყვნენ.” გვ. 24

საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი

”საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ ყველა მოქალაქეს აქვს თანაბარი სტატუსი. თუმცა არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც ქალებს გენდერული დისკრიმინაციისგან დაიცავდა. 2006 წლის ივლისში პარლამენტმა მიიღო „სახელმწიფო კონცეფცია გენდერული თანასწორობის შესახებ“, რაც მიზნად ისახავს

ხელი შეუწყოს ქალთა და მამაკაცთა უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ და ეფექტურ განხორციელებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში. მაგრამ, ვინაიდან მას არ აქვს კანონის ძალა, კონცეფცია მხოლოდ პოლიტიკურ განცხადებად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც მთავრობის აღმასრულებელი შტოსთვის პოლიტიკის ჩარჩოს განსაზღვრავს.

2008 წლის მაისში „საქართველოს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ“ საარჩევნო კოდექსში ცვლილების შესატანად დაახლოებით 32,000 ხელმოწერა წარმოადგინა, რომლითაც იგი პარტიისა და საარჩევნო ბლოკის სიებში სავალდებულო კვოტის შემოღების ინიციატივით გამოდიოდა. აღნიშნულ ინიციატივას სავარაუდოდ ახალი მოწვევის პარლამენტი განიხილავს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალები საქართველოს მოსახლეობის 53%-ს შეადგენენ, ეს არჩევნები ჩატარდა ისეთ გარემოში, როდესაც საჯარო თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ცოტა ქალს ეკავა წამყვანი თანამდებობები. ბოლო მოწვევის პარლამენტში დეპუტატთა მხოლოდ 9 პროცენტი იყო ქალი, ხელისუფლებაში კი, 17 მინისტრიდან მხოლოდ 3 იყო ქალი.

ქალი კანდიდატები ასპარეზზე ნაკლებად ჩანდნენ, მხოლოდ რამდენიმე ქალმა კანდიდატმა აწარმოა შესამჩნევი საარჩევნო კამპანია. ხუთმა პარტიამ და ბლოკმა, რომლებმაც ახალი მოწვევის პარლამენტში მანდატები მოიპოვეს, თავიანთ პროპორციულ სიებში 21 პროცენტი ქალებს დაუთმო, თუმცა არც-ერთს არ ყოლია ერთ ქალზე მეტი სიის პირველ ათ კანდიდატს შორის. ჯამში, არჩეულ იქნა 9 ქალი - 6 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, 2 „გაერთიანებული ოპოზიციიდან“ და 1 „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობიდან“.

საარჩევნო ადმინისტრაციაში ქალები მმართველ პოზიციებზე ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი. ცესკო-ს 13 წევრიდან მხოლოდ ერთი იყო ქალი. საოლქო საარჩევნო კომისიებში 76 თავმჯდომარიდან ქალი მხოლოდ 15 იყო. კენჭისყრის დღეს არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ მონახულებულ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთაგან 40% იყო ქალი, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთაგან კი - 66%.” გვ. 32

➤ რეკომენდაციები

39. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია და საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმის მტკიცე ნებაა ხელი შეუწყოს გენდერული

საკითხების ძირითად მიმართულებად ქცევას. ამ მიზნის მისაღწევად უნდა გადაიდგას ეფექტური და მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რათა კიდევ უფრო შეეწყოს ხელი ქალთა მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში, განსაკუთრებით კი გაიზარდოს ქალთა, როგორც კანდიდატთა, წარმომადგენლობა პარლამენტში.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, 2010 წლის 30 მაისი (არაოფიციალური თარგმანი)

”საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებს ქალებისა და მამაკაცებისთვის. საარჩევნო კოდექსი, კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ და კანონი თვითმმართველობის შესახებ მხოლოდ ზოგადად განმარტავენ გენდერულ საკითხებს. 2010 წლის მარტში პარლამენტმა მიიღო კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. მიუხედავად იმისა რომ ეს პირველი გენდერთან დაკავშირებული კანონია საქართველოში და შესაბამისად მნიშვნელოვან ნაბიჯად ითვლება, ის არ მოიცავს ქალების პოლიტიკაში გააქტიურების სპეციალურ ზომებს. აღნიშნული კანონის თანახმად, გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭომ ყოველწლიურად უნდა წარუდგინოს პარლამენტს ანგარიში გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ. საბჭოს ასევე დაევალა საქართველოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების გეგმის მომზადება 2010 წლის 10 ივლისამდე. არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფის ინიციატივა გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში კვოტის შეტანის თაობაზე, არ იქნა გათვალისწინებული.

ერთმანდატიან ოლქებში წმოყენებული კანდიდატების მხოლოდ 10.9% იყო ქალი, ხოლო პროპორციულ სიებში - 18.2%. ოცდათხუთმეტმა ქალმა მოხსნა კანდიდატურა არჩევნების დღემდე, ყველა მათგანი ოპოზიციური პარტიებიდან იყო. საბოლოოდ, საკრებულოს 1,695 წევრიდან 169 იყო ქალი (10%), რაც წინა ადგილობრივი არჩევნების მაჩვენებელზე (11%) დაბალია. თბილისის საკრებულოში ქალებმა არჩეული წევრების 14% შეადგინეს.

ქალების რაოდენობა აშკარად განსხვავდებოდა პროპორციულ და მაჟორიტარულ ბიულეტენებში, რაც მიანიშნებს რომ ქალებს უფრო რთულად მიაჩნდათ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობა. თბილისში პროპორციული სიით ექვსი ქალი აირჩიეს, ხოლო ერთმანდატიან ოლქში მხოლოდ ერთი. თბილისის გარეთ პროპორციული სიით არჩეული ქალების რაოდენობა 14 პროცენტია, ხოლო ერთმანდატიან ოლქებში ქალები

არჩეული კანდიდატების მხოლოდ 7,2 პროცენტს შეადგენენ. ერთმანდატიან ოლქებში არჩეული 73 ქალიდან მხოლოდ 5 იყო ოპოზიციური პარტიებიდან.

ქალები სათანადოდ არც საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალ დონეებზე არიან წარმოდგენილნი. ცესკოს 13 წევრს შორის მხოლოდ ერთია ქალი. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების 52 პროცენტს შეადგენენ ქალები, მაგრამ ცესკოს ინფორმაციით მათ თავმჯდომარის პოზიციის 20 პროცენტი, ხოლო მოადგილის 23 პროცენტი უკავიათ. არჩევნების დღეს ქალები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების 67 პროცენტს შეადგენენ და თავმჯდომარის პოზიციის 52 პროცენტი უკავიათ.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში სათანადოდ წარმოდგენილნი არ არიან ქალების გარკვეული რაოდენობა საკმაოდ აქტიურადაა ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში. ამ არჩევნებში მონაწილე მხოლოდ ორ პარტიას – საქართველოს გზა - ხელმძღვანელობდა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი და ხოლო, ქრისტიან დემოკრატი ხალხის პარტიას ხელმძღვანელობდა მაგდალენა კატრიკაძე. ქრისტიან დემოკრატიული კავშირის სიის პირველი ნომერი იყო ინგა გრიგოლია. ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით არ მონაწილეობდა ამ არჩევნებში.” გვ. 27

➤ რეკომენდაციები

27. ხელისუფლებამ აქტიურად უნდა იმუშაოს საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად არჩევით ორგანოებში ქალებსა და მამაკაცებს შორის გენდერული თანასწორობის შესახებ.
28. საჭიროა პოლიტიკური პარტიების მოტივირება ქალების მონაწილეობის გაძლიერების თვალსაზრისით.
29. უნდა გატარდეს დამატებითი ზომები საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალების წარმომადგენლობის გასაუმჯობესებლად.